ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვაზე № 60-7-117-335

ქ. თბილისი **2017წ. 06.03**

I. მხარეები

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2017 წლის 06.03, ერთის მხრივ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის სულხან ზუმბურიძის (შემდგომში– „შემსყიდველი“) სახით და მეორეს მხრივ სსიპ“აჭარის სატყეო სააგენტო“–ს (შემდგომში– „მიმწოდებელი“) შორის, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ჯუმბერ აბულაძის სახით, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

II. ხელშეკრულების საგანი

2.1. „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას გაუწიოს „შემსყიდველს“ „ახალციხე-ბათუმის“ 220 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში (ბუფერში)არსებული ხე-მცენარეების მონიშვნის მომსახურება (CPV კოდი: 77200000) დანართი №1-ის (ხარჯთაღრიცხვა) და დანართი №2-ის (გასაწევი მომსახურების ტექნიკური დავალება) შესაბამისად.

2.2 დანართი №1 და დანართი №2 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

III. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს **3000 (სამიათასი) ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით** (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება”).

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.3 მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4.2 „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს 220კვ -იანი ელექტროგადამცემი ხაზი „ახალციხე-ბათუმი“-ს დაცვის ბუფერულ ზონაში ხე-მცენარეების გამიჯვნა-მარკირების მომსახურება „მიმწოდებლის“ მიერ მომსახურების დაწყებამდე.

4.3. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მიმწოდებლისგან“ მოითხოვოს სრული ინფორმაცია შესასრულებელი მომსახურების მიმდინარეობის შესახებ.

4.4. “მიმწოდებელი” მომსახურებას ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1–ის (ხარჯთაღრიცხვა), დანართი №2-ის (გასაწევი მომსახურების ტექნიკური დავალება) წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4.5 “მიმწოდებელი” ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიხედვით განახორციელოს სს „სსე“-სათვის „ახალციხე-ბათუმის“ 220 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში (ბუფერში)არსებული ხე-მცენარეების მონიშვნის მომსახურება.

4.6,,მიმწოდებელი” ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ხარისხიანად.

4.7 “მიმწოდებელი” ვალდებულია წერილობით აცნობოს “შემსყიდველს” მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის შესახებ და წარმოადგინოს მათთან დადებული ხელშეკრულების ასლები.

4.8 ”მიმწოდებელი” ვალდებულია განახორციელოს, ანგარიშის მიმართ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, ანგარიშის სრულყოფა და სხვა შესაბამისი ღონისძიებები. ანგარიშში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი” ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ანგარიშის სრულყოფა და ხარვეზების გამოსწორება.

4.9 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს “მიმწოდებელს” ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან. საბოლოო ურთიერთობა “შემსყიდველსა” და “მიმწოდებელს” შორის ხორციელდება ამ კონტრაქტით განსაზღვრული პირობებით.

V. მომსახურების ვადები

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული „ახალციხე-ბათუმის“ 220 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში (ბუფერში) არსებული ხე-მცენარეების მონიშვნის მომსახურების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან და ხე-მცენარეების მონიშვნის მომსახურების დასაწყებად საჭირო დოკუმენტაციის და მონაცემების (შეიპ-ფაილების) „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისთვის“ გადაცემიდან 100 (ასი) კალენდარული დღე.4.2 „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს 220კვ -იანი ელექტროგადამცემი ხაზი „ახალციხე-ბათუმი“-ს დაცვის ბუფერულ ზონაში ხე-მცენარეების გამიჯვნა-მარკირების მომსახურება „მიმწოდებლის“ მიერ მომსახურების დაწყებამდე.

5.2 ხელშეკრულების ვადა შესაძლებელია გაიზარდოს ნალექიანი (წვიმიანი) დღეების რაოდენობით, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს დოკუმენტალურად დადასტურებული ინფორმაცია უფლებამოსილი უწყებიდან ნალექიანი (წვიმიანი) დღეების ოდენობის შესახებ.

VI. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ,,მიმწოდებლის“ მიზეზით მომსახურების დაგვიანებით, არასრულად, ხარვეზით ან საერთოდ არ გაწევის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი“ მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე, ხარისხიანი მომსახურების სრულად გაწევის დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

6.2 „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს“ პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

6.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას.

6.4 ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და "მიმწოდებელზე" დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა ,,მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოქვითვა არ შეიძლება გახდეს ,,მიმწოდებლის“ მხრიდან ,,შემსყიდველისათვის“ 6.2 პუნქტით გათვალიწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.

VII. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მისი შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით "შემსყიდველი".

7.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულების ვალდებულებებისაგან.

7.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს "შემსყიდველის" მხრიდან უზრუნველყოფს სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სატყეო სამსახურის უფროსი გიორგი ბაღათურია და სატყეო სამსახურის უფროსი სპეციალისტი შალვა აფციაური.

7.5 კონტროლი განხორციელდება გაწეული მომსახურების ხარისხისა და მომსახურების გაწევის ვადის შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

VIII ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს – მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ საბუთად მხარეები განიხილავენ შესაბამისის ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემულად სათანადო ცნობას.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ,

მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

VIII. ურთიერთობა მხარეებს შორის

9.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. ოპერატილი კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებილი ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით.

9.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

IX. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

10.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

10.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

10.2.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;

10.3 “შემსყიდველს” შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

10.3.1. თუ “შემსყიდველისათვის” ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.3.2. “შემსყიდველის” გადახდის უუნარობის დადგენის შემთხვევაში;

10.3.3. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ “მიმწოდებლის” მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხელშეკრულების საგნის შესახებ ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს, ,,შემსყიდველის“ მხრიდან ნდობის დაკარგვის საფუძველს.

10.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.4 ამ ხელშეკრულების 10.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში “შემსყიდველი” ვალდებულია აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

10.5 შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

XI. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება,

ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

XII. დავათა განხილვა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

XIII. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

13.1 საქონლის მოწოდებისას "შემსყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.4 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები ამოწმებენ მომსახურების შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან, ხარვეზების (წუნდების) არ არსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით ,,შემსყიდველსა“ და ,,მიმწოდებელს“ შორის.

13.2 მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდგომ პასუხისგებლობა საქონელზე გადადის შემსყიდველზე.

XIV. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

14.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოწურულად ჩაითვლება აღნიშნული პირობების შესრულებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს **2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.**

XV. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

15.2. ისეთ შემთხვევებში, რომლებიც არაა გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ უნდა მოხდეს მათი გამჟღავნება სხვა მხარისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების.

15.5 საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242დადგენილების ,,ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე–3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

XVI. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი”:
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. #2
სს ,,თი ბი სი ბანკი“
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE 22
ა/ნ GE02TB0600000102467636
საიდ. კოდი:204995176

სულხან ზუმბურიძე
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

„მიმწოდებელი“
სსიპ “აჭარის სატყეო სააგენტო“
ტელ: 577232242, 0422272893
ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის #15
ს/კ 245 631 428
ხაზინის კოდი
ბ/კ TRESGE22
ა/ნ 740397499

ჯუმბერ აბულაძე
სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი №1

„ახალციხე-ბათუმის“ 220 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში (ბუფერში) (24 ჰა) არსებული ხე-მცენარეების მონიშვნის მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

№	მომსახურების დასახელება	მიახლოებითი რაოდენოდა	ერთი კბმ მონიშვნის ღირებულება (ლარი) დღგ–ს ჩათვლით	ჯამური საორიენტაციო ღირებულება (ლარი) დღგ–ს ჩათვლით
1	2	3		
1.	„ახალციხე-ბათუმის“ 220 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში (ბუფერში) არსებული ხე-მცენარეების მონიშვნის მომსახურება	1000 კბმ	3	3000
საერთო საორიენტაციო ღირებულება დღგ–ს ჩათვლით				3000

„ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება“ დ.ღ.გ.-ს ჩათვლით შეადგენს 3000 (სამიათასი) ლარს.

„შემსყიდველი“:
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

სულხან ზუმბურიძე

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ.ა

„მიმწოდებელი“:
სსიპ “აჭარის სატყეო სააგენტო“

ჯუმბერ აბულაძე

სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ბ.ა

დანართი №2

„ახალციხე-ბათუმის“ 220 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში (ბუფერში)არსებული ხე-მცენარეების მონიშვნის მომსახურების განსახორციელებლად ტექნიკური დავალება:

ხე-მცენარეების აღრიცხვა და მინიშვნა უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილება „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად;

ტყის აღრიცხვის მეთოდები:

1. **ძირობრივი აღრიცხვა** - ხორციელდება საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეებისთვის.
2. **ფართობის მიხედვით აღრიცხვა** - ხორციელდება გარდა საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეებისა;

ტყეკაფზე მოსაჭრელი ხე-ტყის ოდენობის (მოცულობის) დადგენა წარმოებს:

ა) ფართობის მიხედვით – პირწმინდა ჭრის განხორციელებისას დასამზადებელი ხე-ტყის მოცულობა იანგარიშება სანიმუშო ფართობის მიხედვით, მისი ოდენობა უნდა შეადგენდეს ჭრას დაქვემდებარებული ფართობის არანაკლებ 5 %-ს;

ბ) ძირობრივად (თითოეული ხის მოცულობის მიხედვით) – მთავარი სარგებლობის (გარდა პირწმინდა) და მოვლითი ჭრების განხორციელების დროს. აღრიცხვას ექვემდებარება 8 სმ და მეტი ტაქსაციური დიამეტრის ხეები. ხეები იდამღება ფესვის ყელთან მართვის ორგანოებთან შეთანხმებული იდენტიფიცირების დამღით, მდგრადი საღებავით ეწერება რიგითი ნომერი. ჭრაში დანიშნულ ხეებზე თვალთახედვის არეში (მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 1,7 მეტრამდე სიმაღლეზე) კეთდება მონიშვნა მკვეთრი ფერის საღებავით ან ჩამონათალი; *(21.06.2011 N 250)*

გ) დამზადებული ხე-ტყის მასის მიხედვით – როდესაც მოსაჭრელი ხეების 75%-მდე რაოდენობას ტაქსაციური დიამეტრი 8 სმ-ზე ნაკლები აქვს. ამ შემთხვევაში იანგარიშება დასამზადებლად გათვალისწინებული ხე-ტყის მოცულობის საორიენტაციო ოდენობა. დამზადებული ხე-ტყის ოდენობა შემდგომში ზუსტდება ფაქტობრივად დამზადებული ხე-ტყის აზომვით. აღრიცხვის აღნიშნული სახე აგრეთვე გამოიყენება ძირნაყარი და ნახანძრალი ხე-ტყის აღრიცხვისას.

მომსახურების განხორციელებისას მოსამზადებელი დოკუმენტაცია

1. ტყეკაფის აღრიცხვის (მერქნული რესურსის აღრიცხვის) უწყისი - ზემოაღნიშნული მთავრობის დადგენილების დანართი N1; (*.xls - ფორმატი)
2. ტყეკაფის აღრიცხვის ჯუმლი უწყისი - ზემოაღნიშნული მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ინფორმაცია; (*.xls - ფორმატი)
3. ტყეკაფის მონიშვნამდე ადგილმდებარეობის დათვალიერების აქტი - ზემოაღნიშნული მთავრობის დადგენილების დანართი N6; (*.xls - ფორმატი)
4. ტყეკაფის აბრისი - ზემოაღნიშნული მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული დოკუმენტი;(*.mxd, *.shp, *.pdf - ფორმატები)
5. ტყეკაფის პასპორტი (სამუშაო ვერსია) - ზემოაღნიშნული მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული დოკუმენტი. (*.xls ან *.doc - ფორმატი)

შენიშვნა: დოკუმენტაცია მზადდება 3 ნაბეჭდ ეგზემპლიარად და ციფრული ვერსიები მითითებულ ფორმატებში (CD) დისკზე ჩაწერით.

,,შემსყიდველი“:	,,მიმწოდებელი“:
სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“	სსიპ “აჭარის სატყეო სააგენტო“
სულხან ზუმბურიძე	ჯუმბერ აბულაძე
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე ბ.ა	სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბ.ა